საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/2483
10/04/2023

2483-21-2-202304101125

შპს „ვარციხე 2005“-ს
მის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტი, გეგუთი 1
ელ. ფოსტა: chancellery@vhpp.ge; Samni2011@gmail.com

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №1714 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში მდ. რიონის ნაპირდაცვითი სამუშაოების განხორციელების სკრინინგის განცხადებას.

გაცნობებთ, რომ სკრინინგის განცხადებაში დაზუსტებას საჭიროებს და მოცემული უნდა იყოს საქმიანობასთან დაკავშირებული შემდეგი საკითხები:

- მდ. რიონის კალაპოტის ზოგადი გარეცხვის გამოსათვლელად მოცემულ ფორმულაში რიცხვითი მნიშვნელობების ჩასმით მიღებული შედეგი მნიშვნელოვნად განსხვავდება დოკუმენტში წარმოდგენილი მნიშვნელობისგან, რაც საჭიროებს დაზუსტებას;
- სკრინინგის განცხადების მიხედვით, საკვლევ უბანზე ჩატარებული მონიტორინგის შედეგებზე დაყრდნობით, დაზიანებული ნაგებობების აღსადგენად და არსებული ავარიული უბნების დასაცავად საჭირო არის კაპიტალური ჰიდროტექნიკური ღონისძიებების დასახვა. დაზუსტებას საჭიროებს ავარიული უბნების დასაცავად შემოთავაზებული მდ. რიონის კალაპოტის ერთ-ერთ ტოტზე არხის გაჭრის ეფექტიანობის საკითხი. იმდენად რამდენადაც ძლიერი წყალდიდობის დროს (პროექტის მიხედვით საკვლევ უბანზე მდ. რიონის საანგარიშო ხარჯი Q1% შეადგენს 1941 $მ^3$/წმ-ს) უპროგნოზო იქნება წყლის ხარჯის გადანაწილება ტოტების მიხედვით, დაშვება, რომ საპროექტო არხი გათვლილი უნდა იყოს 210 $მ^3$/წმ-ზე დასაბუთებული არ არის. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ საანგარიშო წყალდიდობის დროს საპროექტო ნაყარი დამბები, დიდი ალბათობით, ვერ შეაკავებენ მომატებულ წყლის ნაკადს და მოხდება მათი დაშლა;
- სკრინინგის განცხადებას თანდართულ Shp ფაილებში ასახული უნდა იქნეს უშუალოდ პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული ობიექტები;
- ცხრილ 1.1-ში საქმიანობის განხორციელების მისამართად მითითებულია წყალტუბოს, ბაღდათისა და თერჯოლის მუნიციპალიტეტები, ხოლო წარმოდგენილი shp ფაილების გადამოწმებით დგინდება, რომ საპროექტო

ტერიტორია მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტში, სოფ. კვახჭირში. შესაბამისად, დაზუსტებას საჭიროებს საქმიანობის განხორციელების ადგილი;

- სკრინინგის განცხადების თანახმად, სამუშაოების დაწყებამდე საპროექტო ტერიტორიაზე მოეწყობა დროებითი მისასვლელი გზა, თუმცა, აღნიშნული გზის შესახებ ინფორმაცია დოკუმენტში მოცემული არ არის;
- დაზუსტებას საჭიროებს პროექტის ფარგლებში წარმოქმნილი სახიფათო ნარჩენების შემდგომი მართვის საკითხი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო